დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109242393**
თარიღი:**26/08/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვისა და სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად შესაბამისი ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალის (პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი) გასაკრავად/გამოსაფენად დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს ნებადართული ადგილები თანახმად დანართი N1-სა.

2. განისაზღვროს იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც დაუშვებელია (აკრძალულია) სააგიტაციო მასალის გაკვრა/გამოფენა თანახმად დანართი N2-სა;

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნებადართული ადგილები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო მასალის გაკვრა/გამოფენა:

1. საცხოვრებელი ბინების (კორპუსების) ფასადები;
2. კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ფასადები (მათ შორის საცხოვრებელი, მესაკუთრესთან ან მფლობელთან შეთანხმებით);
3. მაღაზიის შენობების ფასადები (მესაკუთრეებთან ან მფლობელებთან შეთანხმებით);
4. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალა (პლაკატი) შეიძლება განთავსდეს სპეციალურ სტენდზე, სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 1 (ერთი) ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60სმ. სიგანე 42სმ. (A2 ფორმატი).
5. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება;
6. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

დანართი N2

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილი ადგილების ნუსხა, სადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
2. სასამართლოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
4. სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
5. დმანისის მუნიციპალიტეტის ყოფილი სასოფლო საკრებულოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
6. დმანისის პოლიციის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
7. საჯარო სკოლების ინტერიერსა და ექსტერიერში;
8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
9. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ნიშნები;
10. საკულტო ნაგებობები, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობები;
11. ხე-მცენარეები;
12. ელექტრო გადამცემი და გარე განათების ბოძები;
13. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები/მოსაცდელები;
14. საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობები და ღობეები.